1.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: დაიტანეთ ა/მ მოძრაობის სქემა და კეთილმოწყობის გეგმა

შესწორებულია

2.განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათი.: განმარტებით ბარათში წარმოადგინოთ ინფორმაცია ფუნქციურ გადანაწილებასთან დაკავშირებით.

შესწორებულია

3.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: გეგმებზე დააფიქსირეთ ავეჯი, დაიტანეთ ფართები და ექსპლიკაციები სართულების ჯამური მაჩვენებლებით.

შესწორებულია

4.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: ფასადის ფერები მიუთითეთ RGB ან RAL კოდების მიხედვით; განმარტება წარმოადგინეთ ქართული შრიფტით. 0,00 ნიშნულზე მოწყობილი ავტოსადგომის ვიზუალი არ შეესაბამება ფუნქციას.

შესწორებულია

5.ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : ფასადის ფერები მიუთითეთ RGB ან RAL კოდების მიხედვით;

შესწორებულია

6.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობანაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : წარმოადგინეთ ფუნქციების საანგარიშო კროკები. პროცენტულობის ანგარიში უნდა მოხდეს შემდეგი პრინციპით: საცხოვრებელი ფუნქციის ფართობებს მიკუთვნებული აივნები, იმავე სართულზე არსებული კიბის უჯრედების, ლიფტების, საერთო ჰოლის, მისასვლელი აივნებისა და საერთო სარგებლობის სხვა სათავსების ფართობები, უნდა იანგარიშოთ საცხოვრებელ ფუნქციაში, ხოლო საზოგადოებრივი ფუნქციის სართულზე არსებული ფართობები საზოგადოებრივში. აღნიშნული კროკები წარმოადგინეთ ყველა სართულზე საერთო ფართობის მითითებით. გაითვალისწინეთ, რომ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) , განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით და შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 25%-ისა. ავტოსადგომის ფართობი არ იანგარიშება.

შესწორებულია